სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება 243

ქალაქ ზუგდიდი 6 აგვისტო 2015 წელი

ერთის მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი დირექტორის მ.შ. ვალერი ზარანდია სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს **."ზუგდიდექსპერტიზა„-** (შემდგომში „შემსრულებელი"), წარმომადგენელი მისი დირექტორის **ზურაბ ბერულავას** სახით, „მხარეები"„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამართივებული შესყიდვის,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ,მათზე თანდართული ყველა დოკუმენტით.ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე,აქედან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს ,ერთი მიმწოდებელს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ და ახორციელებს საქონლის ,მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახუყრება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს <u>სკოლის საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა .</u>

<u>**გამარტივებული შესყიდვა.:**</u>

საინჟინრო მომსახურეობები CPV კოდი 71300000(ხარჯთაღრიცხვა-CPV კოდი 71324000);

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 80(ოთხმოცი) ლარი.

3.2 ხელსეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.3. დაფინანსების წყარო- სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1. მომსახურების მიწოდებას შემსრულებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმების (ორივე მხარის მიერ ხელის მოწერის) თარიღიდან(06/08/2015წ.)არაუგვიანეს 2015 წლის 20 აგვისტომდე.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია ქალაქი ზუგდიდი

4.4. მომსახურების მიწოდების პარალელურად ,მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის,კერძოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა ან სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენა.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღემა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით .

5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.
5.3. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული მომსახურების ,საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.4. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები
6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
6.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. გარანტია
7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
7.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის შეხედულებისამებრ.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად მხოლოდ სწორი ექსპლუატაციის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 15 %-ს, მხარეს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა
10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) ხელშეკრულების დამდები მხარე ,რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება,მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.არნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10(ათი) დღით ადრე.
ბ)თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება სრულყოფილი ფორმით.
გ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.
14.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
14.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი

წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარიმიმწოდებელს .

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1.მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფრმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონის შესაბამისად,ამ დოკუმენთის თავში მითითებულ დღესა და წელს.

15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელისმოწერის თარიღიდან(06/08/2015) და 2015 წლის მოქმედებს 6 ოქტომბრის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა	შპს „ზუგდიდექსპერტიზა“
მის.: ზუგდიდი,ჯიხაშკარი	საიდენტიფიკაციო კოდი: 220002128
	მისამართი:ზუგდიდი,რუსთაველის N93
	“ლიბერთი ბანკი”
ტელ 577628484	ბანკის კოდი : LBRTGE22
	ა/ა GE93LB0113140929712000
საიდენტიფიკაციო კოდი: 220373708	
Email: valerizarandia2@gmail.com	
ლიბერთი ბანკი	
ა/ა GE78LB0121111138475000	
ბანკის კოდი:LBRTGE22	
დირექტორის მ.შ.: ვალერი ზარანდია	დირექტორი:ზურაბ ბერულავა
----------	----------

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.ზუგდიდი

07/08/2015-წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ „ზუგდიდექსპერტიზა„ (შემდგომში „შემსრულებელი“) მისი დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით და მეორეს მხრივ, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა(შემდგომში „დამკვეთი“)წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ. ვალერი ზარანდიას სახით ,ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ შემსრულებელმა გადასცა დამკვეთს ხელშეკრულება N243 (06/08/2015)გათვალისწინებული 80 (ოთხმოცი)ლარის ღირებულების სკოლის საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის

დოკუმენტაცია ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, რასაც ხელის მოწერით ვადასტურებთ.

მხარეები ვადასტურებთ ,რომ ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გაგვაჩნია.

დამკვეთი: /ვალერი ზარანდია/

შემსრულებელი: /ზურაბ ბერულავა/

საგადახდო დავალება N 64

2015 წლის " 12 " აგვისტო

გადამხდელის დასახელება	ჯიხაშკარის #2 საჯარო სკოლა		
	ანგარიში (დებეტი)	GE78LB0121111138475000	
გადამხდელის ბანკი	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი	LBRTGE22
	საბიუჯეტო გადახდა – ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე		
გადას. გადამხ.-ის დასახელება			
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი	220373708		
მიმღების დასახელება	შპს "ზუგდიდექსპერტიზა" -220002128		
	მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი	GE93LB0113140929712000	
მიმღების ბანკი/ ხაზინა	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი	LBRTGE22
გადახდის დანიშნულება			
სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვის შედგენის ღირებულება			
დამატებითი ინფორმაცია			
ხელმოწერები:		ბ.ა.	

თანხა
80,00
თანხა სიტყვებით
ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი
ბანკის აღნიშვნები:
ბანკში შემოსვლის თარიღი: 15.08.15
გატარებულია ბანკის მიერ
ხელმოწერა:
შტამპის ადგილი

ფორმა №III-15
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. №996 ბრძანებით

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დადასტურებული 07/08/2015 23:41

1	ეა-27 0750242

3	აგვისტო	2015

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	07	აგვისტო	2015

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	2	0	0	0	2	1	2	8	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ზუგდიდექსპერტიზა

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	2	0	3	7	3	7	0	8	

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის #2 საჯარო

დასახელება (სახელი, გვარი) სკოლა

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
სკოლის საპირფარეშოს რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულება	ცალი	1.0000	80.0000	12.2000	0.0000
			სულ 80	12.2	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ ბ.ა.